

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაზა წულაძის  
მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის წარდგენის**

**ო ქ მ ი**

**მუნიციპალიტეტის დასახელება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

**სოფელი, თემი, დაბა:** ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეული

**შეხვედრის ჩატარების თარიღი:** 26.07.2019 წელი, 12:00 საათი

**შეხვედრას ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, მერის წარმომადგენელი ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში გიგა დოლიძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე.

საკრებულოს წევრმა, ზაზა წულაძემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას მობრძანებისთვის და წარადგინა საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე, ასევე საკრებულოს ფრაქციასა და კომისიებში 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, რომელიც ეხებოდა ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტას, ასევე, ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებზე.

საკრებულოს წევრის, ზაზა წულაძის მოხსენებით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მიიღო მონაწილეობა და გახდა ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი.

საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში. გახლავთ ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე.

მისი განმარტებით მონაწილეობა მიიღო: 22 საკრებულოს სხდომაზე, 5 სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე; 8 ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომაზე. ჩაატარა ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ ფრაქციის სხდომა 7-ჯერ.

გარდა ამისა, რეგულარულად ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრენინგებზე.

პერიოდულად შეხვედრები ჰქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან), როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე უშუალოდ სოფელში, ისმენდა მათ პრობლემებს და ცდილობდა მაქსიმალურად მოგვარებას.

ასევე, ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განიხილავდა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს.

საკრებულოს წევრმა, ზაზა წულაძემ მოსახლეობას გააცნო ის პროექტები და დახმარებები, რომელიც ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა. კერძოდ ეს პროექტებია:

- **სოფელ ქვიანში:**

ვიქტორ ასკურავას სახლთან მოეწყო გაბიონი 7 765 ლარის ღირებულების;

აკაკი პაიჭაძის ეზოსთან მოეწყო გაბიონი 6 870 ლარის ღირებულების;

ბაქარი მეგრელიშვილის ეზოსთან მოეწყო გზის დამცავი 19 549 ლარის ღირებულების;

ნინელი ფირცხალაიშვილის ეზოსთან შეკეთდა ხიდი 4 176 ლარის ღირებულების;

ფიჩორის უბანში, სასაფლაოს მისასვლელ გზაზე, მოეწყო ხიდი 65 263 ლარის ღირებულების;

- **ჭყონაგორაში:**

გიორგი ორმოცაძის ეზოსთან მოეწყო ნაპირსამაგრი 4 053 ლარის ღირებულების;

ირინა ორმოცაძის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 25784 ლარის ღირებულების;

დაიგო ჯიხეთის დედათა მონასტრის სამკვილომეტრიანი ასფალტირებული გზა.

- **ჯაპანაში:**

დავით გეგუჩაძის ეზოსთან მოეწყო გაბიონი 20338 ლარის ღირებულების;

ციალა ცინცაძის ეზოსთან მოეწყო გაბიონი 6110 ლარის ღირებულების;

- **ჩოლობარგში:**

რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე, დავით ცინცაძის უბანში, მოეწყო ღია სანიაღვრე არხები 13775 ლარის ღირებულების;

- **ნიგოითში:**

სასაფლაოს მისასვლელ გზაზე, ირაკლი ორაგველიძის უბანში, მოეწყო ღია სანიაღვრე არხები 12103 ლარის ღირებულების;

ციალა მაკალათიას ეზოსთან მოეწყო ნაპირსამაგრი გაბიონი 4856 ლარის ღირებულების;

მამუკა კალანდარიშვილის ეზოსთან მოეწყო ნაპირსამაგრი გაბიონი 9038 ლარის ღირებულების;

მამაოს ეზოსთან მოეწყო გაბიონი 10029 ლარის ღირებულების;

სასაფლაოსთან მოეწყო დამცავი ნაპირსამაგრი და განხორციელდა ხიდის დაზიანებული ბურჯის აღდგენა 3356 ლარის ღირებულების;

საკრებულოს წევრმა ასევე ისაუბრა სოციალურ დახმარებებთან დაკავშირებით, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა, 2018 წელს შუამდგომლობა გაუწია 141 ბენეფიციარს, აქედან:

- სამკურნალო და საოპერაციო დახმარება გაეწია 35 ბენეფიციარს 11 111 ლარის ღირებულების, ხოლო 7 ბენეფიციარს გადაუღებელი საოპერაციო დახმარება გაეწია სარეზერვო ფონდიდან;
- ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსებით სარგებლობს 2 ბენეფიციარი;
- მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამიდან დახმარება გაეწია 52 ბენეფიციარს, საერთო ღირებულებამ შეადგინა 7 468 ლარი;
- ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება გაეწია 14 ბენეფიციარს, რამაც შეადგინა 2450 ლარი;
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამით სარგებლობს 1 ოჯახი, ყოველთვიური ღირებულება 100 ლარი.
- ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამით სარგებლობს 6 ბენეფიციარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით სარგებლობს 1 ოჯახი;
- ერთჯერადად, სახლის სახურავის შესაკეთებლად თანხა გადაეცა 6 ოჯახს, ჯამში 2800 ლარის ოდენობით;

სტიქიის შედეგად დაზარალებულ 17 ოჯახს გადაეცა სამშენებლო მასალა (სახლის სახურავი).

საკრებულოს წევრმა, ზაზა წულაძემ ნიგოთის მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოქალაქეების ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება, პირველ ბრიგადაში და ცენტრში; ასევე შიდა გზების მოხრეშვა და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება, საძოვრის შემოღობვა, ავტობანის გასწვრივ მთავარი არხების მოწესრიგება, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწესრიგება.

სოფელ ჩოლობარგის მაცხოვრებლების ძირითად პრობლემას წარმოადგენდა შიდა გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების მოწყობა, რკინიგზის გადასასვლელთან მისასვლელი გზის მოხრეშვა, წყლის სისტემის მოწესრიგება გური ბირბიჩაძის ხაზზე, თენგო გოგუაძის ჩიხის მოწესრიგება და სტადიონის მოწყობა.

სოფელ ჭყონაგორას მოსახლეობის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სასაფლაო გზის მოწესრიგება შაკო ორმოცაძისკენ, შიდა გზების მოხრეშვა და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება, წყლის კაპტაჟის მოწესრიგება, სტადიონის მოწყობა, საძოვრის შემოღობვა,

ზაზა ორმოცაძის და გია ორმოცაძის ეზოსთან გაბიონის მოწყობა, მიშა გოროზიას ეზოსთან 250 მეტრი არხის ამოღება, მოსაწესრიგებელია ყოფილი ბაღის შენობა.

სოფელ ქვიანის მოსახლეობის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა ბერაიების უბანში გზის მოწესრიგება, მამუკა წულაძის ეზოსთან გაბიონის მოწყობა, შიდა გზების მოხრეშვა, სანიაღვრე არხების მოწესრიგება.


სოფელ ჯაპანას მოსახლეობის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა ბერიძეების უბანში გზის მოხრეშვა-მოწესრიგება, ბარათელის ხიდის მოწესრიგება, ბეჟან ჯიბლაძის და იზოლდა ხაბეიშვილის ეზოებთან გაბიონის მოწყობა, შიდა გზების მოხრეშვა, სანიაღვრე არხების მოწყობა, წყლის სათავე ნაგებობის რეზერვუარების გამრეცხის მოწყობა.

დამსწრე მოსახლეობამ საკრებულოს წევრს ზაზა წულაძეს მადლობა გადაუხადა ადმინისტრაციულ ერთეულში გაწეული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებისთვის.

საკრებულოს წევრი, ზაზა წულაძე მოსახლეობას აქტიურ მუშაობას შეჰპირდა საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად. რათა მომდევნო წლები უფრო წარმატებული გახდეს სოფლისთვის.

ასევე, მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას ნდობისთვის, საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს თანადგომისთვის.

ზაზა წულაძე



ფრაქციის თავმჯდომარე  
ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“